გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ტურიზმი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

**ახალი უმაღლესი სასწავლებელი**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 24 დეკემბერი2018

დასკვნის წარდგენის თარიღი:21 იანვარი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **404916203** |
| დაწესებულების სახე | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 1120 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული (№8, 10.01.2014) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოჩა თუთბერიძე |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა დევიძე |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ბურჯანაძე |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ახალი უმაღლესი სასწავლებელი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს აკრედიტებულ რეჟიმში 2014 წლიდან. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 147კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი; 40 კრედიტი - სასწავლებლის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები (აკადემიური წერა - 5 კრედიტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები - 5 კრედიტი და ინგლისური ენის კომპონენტი (I-VI) 30 კრედიტი); 5 კრედიტი - სასწავლებლის საერთო არჩევითი სასწავლო კურსები. 48 კრედიტი - პეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (აქედან 48 კრედიტი შესაძლებელია სტუდენტმა აირჩიოს თავისუფალი სასწავლო კურსებიდან). 2014 წლიდან დღემდე პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ: დაზუსტდა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები; დაზუსტდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები; დაზუსტდა სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები; განახლდა სასწავლო ლიტერატურა; საბაკალავრო ნაშრომი გახდა არჩევითი კომპონენტი; დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება; გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი; გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა; 2014 წლიდან დღემდე, ახალი უმაღლესი სასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან; პროგრამას დაემატა კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა; ინდივიდუალური სასწავლო კურსების დატვირთვა გადაიხედა და სტანდარტული, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსების ნაცვლად დამტკიცდა ოთხ, ხუთ და ექვსკრედიტიანი სასწავლო კურსები; გათვალისწინებულ იქნა 2014 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 24 დეკემბერს თბილსში არსებულ მისამართზე: ჭყონდიდელის ქ. #26. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
24 დეკემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა შესაბამისობაშია I, IV და V სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისობაშია II და III სტანდარტებთან.

- რეკომენდაციები
  - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სრულფასოვნად უნდა პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მასში ასახული უნდა იყოს კონკრეტულად, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; პროგრამის მიზნები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან;
  - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრისას დასახელდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების მეოთხე კომპონენტად შეთავაზებული ალტერნატიული საგნები;
  - მიზანშეწონილია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსები, როგორიცაა: ბიზნეს ეთიკა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა განიხილებოდეს, როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსები;
  - ასევე სასურველია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს საქართველოს გეოგრაფია (ტურიზმის გეოგრაფია), საქართველოს ისტორია, პროექტების მენეჯმენტი;
  - სასწავლო კურსებს, როგორიცაა: საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, საქართველოს ტურისტული მარშრუტების პროექტირება, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ღონისძიებების ადმინისტრირება სწორად და მიზნობრივად განესაზღვროთ წინაპირობები;
  - პრაქტიკის კომპონენტში - სილაბუსი შემუშავდეს პრაქტიკის ობიექტისა და თემატიკის შესაბამისად - დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
  - ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაღრმავება, რათა სტუდენტებმა აქტიურად

ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, ასევე ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და კვლევებში;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ვფიქრობთ, რომ უმჯობესია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ფინალური გამოცდის, არამედ სასწავლო კურსების მიხედვით. მაგ. კონკრეტული სასწავლო კურსიდან გამომდინარე, განისაზღვროს სამიზნე ნიშნული. ვთქვათ მათემატიკას ჩააბარებს 65 ან 75 % და ა.შ.;
  - სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსურლებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის დონის გაზრდა და მოტივაციის ამაღლება, წამახალისებელი წინადადებების შეთავაზება და ა.შ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2014 წლიდან დღემდე პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ: დაზუსტდა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები; დაზუსტდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები; დაზუსტდა სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები; განახლდა სასწავლო ლიტერატურა; საბაკალავრო ნაშრომი გახდა არჩევითი კომპონენტი; დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება; გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი; გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა; პროგრამას დაემატა კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა; ინდივიდუალური სასწავლო კურსების დატვირთვა გადაიხედა და სტანდარტული, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსების ნაცვლად დამტკიცდა ოთხ, ხუთ და ექვსკრედიტიანი სასწავლო კურსები.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას: „მოამზადოს და შრომის ბაზარს მიაწოდოს ტურიზმის სფეროში მოღვაწე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები,რომლებსაც ექნებათ ამ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციები და თავიანთი მოღვაწეობით ხელს შეუწყობენ საქართველოში ტურიზმის განვითარებას“. თუმცა პროგრამის მიზნების ფორმულირება ზოგადია და შემდგომ მისი გარდასახვა სწავლის გაზომვად შედეგებში პრობლემური ჩანს. მაგალითად პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ისეთი სტუდენტის მომზადება, „რომელიც აცნობიერებს ტურიზმის როლს ქვეყნის განვითარებაში, აქვს დარგის თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; აფასებს და იყენებს საქართველოს ტურისტულ რესურსებს ტურისტული პროდუქტის შექმნასა და მის თანმხლებ ტექნოლოგიურ პროცესებში“. აქ გაუგებარია რა იგულისხმება „დარგის მეთოდოლოგიური ცოდნის“ ქვეშ, ან ტურისტული პროდუქტის თანმხლები ტექნოლოგიური პროცესები რას მოიცავს. ვინაიდან პროგრამა ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხს ტურიზმში, შესაბამისად, უმჯობესია პროგრამის მიზნები ასახავდნენ ძირითად ცოდნას და უნარებს, რომელსაც შეიძენს სტუდენტი ამ პროგრამის დასრულების შემდეგ მაგ. ტურისტული ბიზნესის გარემოს, ტურისტული ორგანიზაციების/კომპანიების მათი დიზაინის, მუშაობის, სტრუქტურის, ინსტრუმენტების, ადამიანური რესურსების და ა.შ. შესახებ.<br>პროგრამის მიზნებში მითითებულია, რომ პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს.<br>პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. დაინტერესებულ პირებს მისი გაცნობა შეუძლიათ დაწესებულების ვებ-გვერდის საშუალებით. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისია: http://newuni.edu.ge/mission.html ; |

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდი: www.newuni.edu.ge ;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სრულფასოვნად უნდა პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მასში ასახული უნდა იყოს კონკრეტულად, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; პროგრამის მიზნები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

| |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ახალი უმაღლესი სასწავლებლის და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიის და დამტკიცების პროცედურის მიხედვით.<br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე, ძირითადად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს.<br>საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა. ასევე, პროგრამას გააჩნია პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა, რომელიც ასახავს და ადასტურებს, თუ რომელი ინდივიდუალური სასწავლო კურსის მეშვეობით მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის მიხედვითაც სისტემატურად შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.<br>პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასებისას ხდება სტუდენტთა შეფასების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და შედეგების ანალიზი. შედეგები უნდა ეცნობოს აკადემიურ საბჭოს, ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენებული იქნება პროგრამის განვითარებისთვის, რაც გულისხმობს პროგრამის მოდიფიცირებას. პროგრამის მოდიფიცირება შესაძლოა მოიცავდეს პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.<br>აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწავლის შედეგებისათვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები მოიცავს მხოლოდ ფინალურ გამოცდას, რაც ჩვენი აზრით გაუმართლებელია და ადმინისტრირების კუთხით ძალიან რთული იქნება, თუ არა შეუძლებელი. ვფიქრობთ, რომ უმჯობესია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ფინალური გამოცდის, არამედ სასწავლო კურსების მიხედვით. მაგ. კონკრეტული სასწავლო კურსიდან გამომდინარე, განისაზღვროს სამიზნე ნიშნული. ვთქვათ მათემატიკას ჩააბარებს 65 ან 75 % და ა.შ. ამ მოსაზრებას დაწესებულებაც დაეთანხმა.<br>დაწესებულება იყენებს სწავლის შედეგების შეფასებისთვის იყენებს არაპირდაპირ მეთოდებსაც, რაც ძირითადში გულიოსხმობს სტუდენტთა და დამსაქმებლების გამოკითხვას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სწავლის შედეგების - კურიკულუმის რუკა<br>○ საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა<br>○ საგანამანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, |

| |
|---|
| სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>ვფიქრობთ, რომ უმჯობესია სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა ფინალური გამოცდის, არამედ სასწავლო კურსების მიხედვით. მაგ. კონკრეტული სასწავლო კურსიდან გამომდინარე, განისაზღვროს სამიზნე ნიშნული. ვთქვათ მათემატიკას ჩააბარებს 65 ან 75 % და ა.შ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>**ტურიზმის საბაკალავრო** პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სტანდარტი 2. ქვესტანდარტი 2.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კერძოდ: პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის" შესაბამისად (მუხლი 52, პუნქტი 3):<br>აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:<br>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში<br>მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;<br>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხოქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;<br>გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. |

ახალი უმაღლესი სასწავლებლის„სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად: „უცხო ქვეყნის მოქალაქის სასწავლებელში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ქართული ენის ცონდის დადგენის მიზნით, გაიაროს გასაუბრება. გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სასწავლებელი”.
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების პროცედურები ხელმისაწვდომია და დეტალურადაა წარმოდგენილი, თუმცა ერთიანი ეროვნული გამოცდების მეოთხე კომპონენტად უნივერსიტეტი რომელ ალტერნატიულ საგან(ებ)ს სთავაზობს აბიტურიენტებს არ არის გასაჯაროებული. სასურველია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრისას ერთიანი ეროვნული გამოცდების მეოთხე კომპონენტად შეთავაზებული ალტერნატიული საგნები იყოს გამჭვირვალე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კრიტერიუმები და პროცედურები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრისას დასახელდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების მეოთხე კომპონენტად შეთავაზებული ალტერნატიული საგნები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტი - არასპეციალობის/საერთო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“) სტრუქტურა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება:

სავალდებულო ნაწილი **187 კრედიტი** (**40 კრედიტი** - არასპეციალობის კომპონენტი: **10** კრედიტი საკომუნიკაციო კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის სასწავლო კურსები და **30** კრედიტი ინგლისური ენის კომპონენტი; **147** კრედიტი - სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის: **137** კრედიტი სასწავლო კურსები, **10** კრედიტი პრაქტიკა;

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კურსები ნაწილობრივაა თანმიმდევრული. სასურველია არჩევითი საგნები, როგორიცაა: ბიზნეს ეთიკა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა განიხილებოდეს, როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსები, ასევე სასურველია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს საქართველოს გეოგრაფია (ტურიზმის გეოგრაფია), საქართველოს ისტორია, პროექტების მენეჯმენტი. სასწავლო კურსებს, როგორიცაა: საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, საქართველოს ტურისტული მარშრუტების პროექტირება, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ღონისძიებების ადმინისტრირება სწორად და მიზნობრივად განესაზღვროთ წინაპირობები. პრაქტიკის კომპონენტში - სილაბუსი შემუშავდეს პრაქტიკის ობიექტისა და თემატიკის შესაბამისად - დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მეორე სტანდარტის ქვესტანდარტი 2.2. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ კურიკულუმის რუკა,<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| რეკომენდაციები:<br><br>○ მიზანშეწონილია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსები, როგორიცაა: ბიზნეს ეთიკა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა განიხილებოდეს, როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსები.<br>○ ასევე სასურველია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს საქართველოს გეოგრაფია (ტურიზმის გეოგრაფია), საქართველოს ისტორია, პროექტების მენეჯმენტი.<br>○ სასწავლო კურსებს, როგორიცაა: საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, საქართველოს ტურისტული მარშრუტების პროექტირება, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ღონისძიებების ადმინისტრირება სწორად და მიზნობრივად განესაზღვროთ წინაპირობები.<br>○ პრაქტიკის კომპონენტში - სილაბუსი შემუშავდეს პრაქტიკის ობიექტისა და თემატიკის შესაბამისად - დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ასევე საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, საკონტაქტო საათების რაოდენობა, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი და სხვა) და ა.შ. სტანდარტი 2. ქვესტანდარტი 2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კერძოდ: საერთო სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (10 კრედიტი) ორიენტირებულია წერითი და ვერბალური კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენების უნარის გამომუშავებაზე;<br><br>✓ ინგლისური ენის კომპონენტი (30 კრედიტი) ორიენტირებულია უცხოური, კერძოდ ინგლისური ენის სწავლების უზრუნველყოფაზე და მშობლიურ ენასთან ერთად კიდევ ერთ, საერთაშორისო ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე სპეციალობისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. ინგლისურენოვანი უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე;<br><br>✓ საერთო არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი (5 კრედიტი) ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების პროცესის სტიმულირებაზე, აბსტრაქტული, ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების სტიმულირებაზე, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარის განვითარებაზე;<br><br>✓ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (137 კრედიტი) ორიენტირებულია ტურიზმის სფეროში არსებული თეორიებისა |

| |
|---|
| და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში ტურიზმის დარგის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, შეძენილი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე;<br><br>✓ სპეციალობის სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი (10 კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება;<br><br>✓ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (48 კრედიტი) ორიენტირებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ფართო ცოდნის სტუდენტის ინტერესების შესაბამისი კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ სილაბუსები<br>○ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების სისტემა<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტანდარტი 2 ქვესტანდარტი 2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ტურიზმის პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებები/მემორანდუმები გაფორმებულია პრაქტიკის ობიექტებთან და გათვალისწინებულია მხარეთა ინტერესი, განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა. თუმცა, სასურველია სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსუერლებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის უფრო მეტ ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში ჩართულობის დონის გაზრდა და მოტივაციის ამაღლება, წამახალისებელი წინადადებების შეთავაზება და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>▪ სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსურლებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის ეროვნულ/საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის დონის გაზრდა და მოტივაციის ამაღლება, წამახალისებელი წინადადებების შეთავაზება და ა.შ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალებად გამოიყენება სწავლება სწავლის სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონულ რესურსით სწავლება და სხვა. |

| |
|---|
| სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, ახსნა- განმარტებითი და სხვ. მეთოდები);<br><br>სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე.<br><br>პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია ვებ–გვერდზე www.newuni.edu.ge.<br>სტანდარტი 2 ქვესტანდარტი 2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სწავლება -სწავლის მეთოდები<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |

შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონს“ და ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულ წესში მკაფიოდა არის ჩამოყალიბებული სტუდენტთა სასწავლო საქმიანობა, სტუდენტთა შეფასება, შეფასების კრიტერიუმები და შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. ასევე, სილაბუსში მითითებულია სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა დასკვნით გამოცდამდე შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 21 ქულის დაგროვება. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, თუ მან დასკვნით გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური შეფასების 50/% ანუ მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულა.

